სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

15 **ოქტომბერი, 2025 წ.**

ბრძანება № 01-02/190

2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის **ევროპის** უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში **საერთაშორისო მობილობის** მონაწილე **ბსუ-ს სტუდენტთა, აკადემიური/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილების, ,,ERASMUS + საგრანტო პროექტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროსა და ბსუ-ს შორის 2025 წლის 17 მარტს გაფორმებული №04-10/19 ურთიერთანამშრომლობის შეთანხმების, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 10 ოქტომბრის MES 1 25 0001325954 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროსა და ბსუ-ს შორის 2025 წლის 17 მარტს გაფორმებული №04-10/19 ურთიერთთანამშრომლობისა და „ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ევროპის უნივერსიტეტებში საერთაშორისო მობილობის მონაწილე **ბსუ-ს სტუდენტთა, აკადემიური/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის გამოსავლენად გამოცხადდეს კონკურსი და განისაზღვროს შემდეგი ვადები და კრიტერიუმები:**

1.1. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით განსაზღვრული) მიღება - **2025 წლის 10 ოქტომბრიდან - 24 ოქტომბრის ჩათვლით 15:00 საათამდე:**

ა) აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის მიერ - ელექტრონულად, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (eflow-ს) მეშვეობით;

ბ) მოწვეულ მასწავლებელთა პერსონალის მიერ - ელექტრონულ ფოსტაზე info@bsu.edu.ge მეშვეობით;

გ) **,,ერაზმუს+"** გაცვლით პროგრამაში და **აჭარის ა.რ. განათლების და სპორტის სამინისტროს** მიერ დაფინანსებულ პროგრამაში მონაწილეობის მსურველი კონკურსანტი სტუდენტის მიერ - ელექტრონულად, ბსუ-ს სტუდენტური პორტალის მეშვეობით.

1.2. დოკუმენტაციის შემოწმება და შეფასება - **2025 წლის 24-25 ოქტომბერი** (შემოწმებასა და შეფასებას დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით უზრუნველყოფს ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი);

1.3. ტესტირება/გამოცდა ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებში (მიმღები უნივერსიტეტის მოთხოვნის შესაბამისად) - **2025 წლის 27 ოქტომბერი, 14:00 საათი (ბსუ-ს საგამოცდო ცენტრი, №4 კორპუსი, მის: ქ. ბათუმი ფიროსმანის ქ. №12)** (შესაბამისი უცხოური ენის B1/B2 ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის არსებობის შემთხვევაში, კონკურსანტი თავისუფლდება ტესტირებიდან);

1.4. გასაუბრება კომისიასთან:

ა)კონკურსში მონაწილე ბსუ-ს სტუდენტებთან - **2025 წლის 29 ოქტომბერს, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე;**

ბ)აკადემიურ/ადმინისტრაციულ და მოწვეულ პერსონალთან - **2025 წლის 30 ოქტომბერს, 11:00 საათიდან 16:00 საათამდე.**

1.5. ბსუ-ში ჩატარებული კონკურსის შედეგად ნომინირებული კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მიმღები უნივერსიტეტებისათვის - <u>არაუგვიანეს 2025 წლის **31 ოქტომბრისა.**</u>

2. დამტკიცდეს წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით **საკონკურსო კომისიის შემადგენლობა:**

ა) ტიტე არუშიძე- რექტორი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) გიორგი ქათამაძე - თავმჯდომარის მოადგილე, რექტორის მოადგილე სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით;

გ) თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით;

დ) ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ე) მარინე გიორგაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, „ერაზმუს+" ინსტიტუციური კოორდინატორი;

ვ) ლელა თავართქილაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;

ზ) ლელა თურმანიძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი;

თ) თეონა ბერიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

ი) ნათელა წიკლაშვილი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი;

კ) გაიოზ ფარცხალაძე - ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი;

ლ) რუსუდან ხუხუნაიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი;

მ) ირაკლი კორძაია - ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი;

ნ) ლევან ჯაყელი - იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

ო) მარინა პაქსაძე - აჭარის ა/რ განათლებისა და სპორტის სამინისტროს განათლების დეპარტამენტის პროფესიული და უმაღლესი განათლების განყოფილების უფროსი. (შენიშვნა - მონაწილეობს მხოლოდ აჭარის ა.რ. განათლების და სპორტის სამინისტროს მიერ დაფინანსებულ პროგრამაში მონაწილეობის მსურველი კონკურსანტი სტუდენტების შეფასების ნაწილში).

3. კონკურსის წესით შერჩევა განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით დამტკიცებული ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესით'' და წინამდებარე ბრძანების შესაბამისად.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტი მომზადდეს ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ და გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს -ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.

6. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**